INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების და ელექტრონული ფორმით მოთხოვნის პრაქტიკა საჯარო დაწესებულებებში

საქართველოს მთავრობის
დადგენილება

№219 2013 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და
პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ

სარჩევი

1. შესავალი - - -

❖ შესავალი

2013 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა, საქართველოს მთავრობის 26 აგვისტოს №219 დადგენილება ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ “.

დადგენილებაში ასახულია, IDFI-ის კოორდინირებით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტთან ერთად შემუშავებული მნიშვნელოვანი ინიციატივები. სამოქალაქო სექტორის რეკომენდაციები, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, ინტენსიურად განიხილებოდა სამუშაო შეხვედრებისა და საჯარო დისკუსიების ფორმატში. რეკომენდაციების საბოლოო პაკეტი შემუშავებული იქნა „USAID-ის G-3” პროგრამის მიერ დაფინანსებული კოალიციური პროექტის „კანონმდებლობის გაუმჯობესებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ინფორმაციის თავისუფლების საკითხებში“ ფარგლებში.

აღნიშნული დადგენილების მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრამდე მთავრობის მმართველობის სფეროში მოქმედ ადმინისტრაციულ ორგანოებს დაევალათ „საჯარო ინფორმაციის“ გვერდის შექმნა და დანართით გათვალისწინებული ნუსხით განსაზღვრული 2013 წლის ინფორმაციის გამოქვეყნება საკუთარ ელექტრონულ რესურსებზე.

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა, ის მინიმალური სავალდებულო ინფორმაციაა, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის, გეგმების, დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის, სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების პრივატიზაციის გამჭვირვალობას. ადმინისტრაციული ორგანო აგრეთვე უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით, პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

დადგენილებით განისაზღვრა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნოვაცია. 2013 წლის 1 სექტემბრიდან დადგინდა საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის წესი. ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ელექტრონული განცხადებების რეგისტრაცია და ავტომატური დადასტურების სისტემის შექმნა.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა 2014 წლის 21 იანვრიდან 21 თებერვლამდე IDFI შეეცადა გამოერკვია, რამდენად უზრუნველყვეს დაწესებულებებმა აღნიშნული დადგენილებით მათზე დაკისრებული ვალდებულებები. ხსენებული დროის მონაკვეთში ინსტიტუტის მიერ შესწავლილი იქნა საქართველოს მთავრობის კანცელარიის, სამინისტროების და სახელმწიფო მინისტრის აპარატების მიერ საკუთარ ვებ-გვერდებზე 2013 წლის 31 დეკემბრამდე სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განთავსება და მათ მიერ დანერგილი საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის პრაქტიკა.

❖ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

➢ 2013 წლის 31 დეკემბრამდე სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ვებ-გვერდებზე განთავსება

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტალის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო წლიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია წლის დასრულებიდან სამი თვის ვადაში. შესაბამისად მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ორგანოებს კვლევის მიმდინარეობის პროცესში საკუთარ ვებ-გვერდებზე უზრუნველყოფილი უნდა ჰქონოდათ კვარტალური მონაცემების და იმგვარი ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც განახლებას ექვემდებარება მხოლოდ გარკვეული ცვლილების შემთხვევაში.

2013 წლის 31 დეკემბერს აღნიშნულ დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც 31 დეკემბრამდე სავალდებულო გამოსაქვეყნებელ ინფორმაციის ნუსხას გამოაკლდა ადმინისტრაციული საჩივრის ფორმების/ნიმუშების და გასაჩივრების წესის შესახებ ინფორმაცია და მისი ვებ-გვერდზე გამოქვეყნების სავალდებულო თარიღად განისაზღვრა 2014 წლის 1 მარტი. ინსტიტუტის მიერ გათვალისწინებული იქნა აღნიშნული ცვლილება და ხსენებული პუნქტის მიხედვით ინფორმაციის განთავსება არ იქნა შეფასებული.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №404

2013 წლის 31 დეკემბერი

ქ.თბილისი

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 020090000.10.003.017386, 27/08/2013) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უზრუნველყონ ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული ნუსხით განსაზღვრული ინფორმაციის გამოქვეყნება საკუთარ (შესაბამის) ელექტრონულ რესურსზე 2013 წლის 1 სექტემბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე, გარდა ადმინისტრაციული საჩივრის ფორმების/ნიმუშების და გასაჩივრების წესის შესახებ ინფორმაციისა, რომლის გამოქვეყნებაც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა საკუთარ (შესაბამის) ელექტრონულ რესურსზე უნდა უზრუნველყონ 2014 წლის 1 მარტამდე."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე კვლევის ობიექტებს წარმოადგენდნენ მხოლოდ საქართველოს მთავრობის კანცელარია, სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრის აპარატები ინსტიტუტმა სავალდებულო ინფორმაციის განთავსების პროცენტული მაჩვენებლების შედგენისას, არ შეაფასა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის „სხვა საჯარო ინფორმაციის“ კატეგორიაში განთავსებული ინფორმაციის ვებ-გვერდებზე განთავსება, ვინაიდან ინსტიტუტი არ ფლობდა კონკრეტულ ინფორმაციას ზემოთ ხსენებული დაწესებულებები სთავაზობენ თუ არა მომხმარებელს რაიმე სახის სერვისებს და შესაბამისად არის თუ არა მათ მიერ დადგენილი რაიმე სახის ტარიფები, მოსაკრებლები და საფასურები.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით ინსტიტუტის მიერ შეფასებული იქნა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის 24 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის ვებ–გვერდებზე განთავსება. როგორც გამოჩნდა საქართველოს მთავრობის კანცელარიამ და სამინისტროებმა ხსენებული დადგენილებით მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების საკმაოდ მაღალი ანგარიშვალდებულება გამოიჩინეს. აღნიშნული დაწესებულებების მიერ მონიტორინგის პერიოდისათვის სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ვებ–გვერდებზე განთავსების საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 92%. განსაკუთრებით აღსანიშნავია იუსტიციის სამინიტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომლებმაც უზრუნველყვეს 2013 წლის 31 დეკემბრამდე სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მონიტორინგის პერიოდისათვის 100%–ით ვებ–გვერდებზე განთავსება. ხსენებული ინფორმაციის ვებ–გვერდზე განთავსების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (67,4%) სამინისტროებს შორის მიიღო საგარეო საქმეთა სამინისტრომ.


2013 წლის 31 დეკემბრამდე სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განთავსება
იუსტიციის სამინისტრო
100%
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო
100%
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
100%
ენერგეტიკის სამინისტრო
100%
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
100%
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
100%
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
95.7%
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
95.7%
ფინანსთა სამინისტრო
95.7%
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
95.7%
თავდაცვის სამინისტრო
93.5%
მთავრობის კანცელარია
93.5%
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
91.3%
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
82.6%
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და...
80.4%
შინაგან საქმეთა სამინისტრო
69.6%
საგარეო საქმეთა სამინისტრო
67.4%

საქართველოს მთავრობის კანცელარიისა და სამინისტროებისგან განსხვავებით, სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ვებ–გვერდებზე განთავსების თვალსაზრისით შედარებით დაბალი ანგარიშვალდებულებით გამოირჩნენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატები. მონიტორინგის პერიოდისათვის სახელმწიფო მინისტრის აპარატების სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ვებ–გვერდებზე განთავსების საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა მხოლოდ 65%. განსაკუთრებით გამორჩეულია დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომელმაც სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მხოლოდ 41,3 % –ის განთავსება უზრუნველყო საკუთარ ვებ–გვერდზე.



2013 წლის 31 დეკემბრამდე სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ინფრომაციას შორის მონიტორინგის პერიოდისათვის მთავრობის კაცელარიისა და სამინისტროების ვებ–გვერდებზე ყველაზე დაბალი განთავსების მაჩვენებელი გააჩნდა სახელმწიფო ქონების გასხვისების შესახებ ინფორმაციას. ხსენებული დაწესებულებების მხოლოდ 70.6%–მა უზრუნველყო აღნიშნული ინფორმაციის საკუთარ ვებ–გვერდზე განთავსება. რიგით მეორეს ყველაზე დაბალი განთავსების თვალსაზრისით წარმოადგენს რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია – 76,5%.



დეტალური ინფორმაციის მისაღებად, იმის შესახებ თუ კონკრეტულმა დაწესებულებამ რა სახის ინფორმაციის გამოქვეყნება არ უზრუნველყო ან არასრულყოფილად წარმოადგინა საკუთარ ვებ–გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ.



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის უზრუნველყოფილი **სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ** ინფორმაციის განთავსება.

95,7%

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული შემდეგი ინფორმაცია: **ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებულ პირთა ოდენობა გენდერულ ჭრილში.**

95,7%

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა.**



95,7%

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია **ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ**.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

93,5%

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის უზრუნველყოფილი **სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ** ინფორმაციის განთავსება;

ამასთან არასრულყოფილადაა წარმოდგენილი **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა**. ვებ-გვერდზე განთავსებულია მხოლოდ 2013 წლის მე-4 კვარტალში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით რეგისტრირებული განცხადებების რაოდენობა.

მე-4 კვარტლის მონაცემებით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით რეგისტრირებულია 2598 განცხადება

საქართველოს მთავრობა

93,5%

საქართველო მთავრობის კანცელარიის ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული შემდეგი ინფორმაცია: **ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები, კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა.**

ამასთან არასრულყოფილადაა წარმოდგენილი **ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა.** ვებ-გვერდზე განთავსებულია მხოლოდ მთავრობის კანცელარიის სტრუქტურა.

91,3%

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის უზრუნველყოფილი შემდეგი სახის ინფორმაციის განთავსება:

- **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები**
- **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა**

82,6%

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის უზრუნველყოფილი შემდეგი სახის ინფორმაციის განთავსება:

- **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა**
- **რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები**
- **საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია**
- **სამართლებრივი აქტები საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შესახებ**

80,4%

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის უზრუნველყოფილი შემდეგი სახის ინფორმაციის განთავსება:

- **ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ**
- **ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ**
- **ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ**
- **ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია**

ამასთან არასრულყოფილადაა წარმოდგენილი „ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები, კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა“ შესახებ ინფორმაცია. არ არის განთავსებული კონკურსის შედეგები.



69,6%

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის უზრუნველყოფილი შემდეგი სახის ინფორმაციის განთავსება:

- **ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები, კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა;**
- **სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა**
- **რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები**
- **ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ**
- **ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ**
- **საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია**
- **სამართლებრივი აქტები საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შესახებ**

62%

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის უზრუნველყოფილი შემდეგი სახის ინფორმაციის განთავსება:

- **ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში**
- **სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა**
- **განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები**
- **ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ**

- **რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები**
- **ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ**
- **ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია**

ამასთან არასრულყოფილადაა წარმოდგენილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ინფორმაციის გაგება შეიძლება მხოლოდ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ მინისტრის ბრძანებიდან. სასურველია აღნიშნულ გვერდზე განცალკევებით განთავსდეს მონაცემები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობის და მისი საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ.



ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი ირაკლი ქოიავა.

2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი.

3. მიენიჭოს ირაკლი ქოიავას უფლებამოსილება ხელი მოაწეროს სამინისტროს ბლანკზე საჯარო ინფორმაციის გაცემის შემთხვევაში.

➢ IDFI - ის პარამეტრების გათვალისწინებით 2013 წლის 31 დეკემბრამდე სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ვებ-გვერდებზე განთავსება

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხაში წარმოდგენილი მთელი რიგი პუნქტები დაწესებულებებს არ ავალდებულებს კონკრეტული საკითხებისადმი დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნებას. 2013 წლის 31 დეკემბრამდე სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციიდან IDFI-ის რეკომენდაციით საჯარო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ დეტალური მონაცემების განთავსება შემდეგ პუნქტებზე:

- **ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა;**
- **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა;**
- **ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები;**
- **ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების შესახებ;**
- **ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ.**

IDFI- იმ ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების შესახებ საკუთარი პარამეტრების გათვალისწინებით შეაფასა რამდენად სრულყოფილად იქნა 2013 წლის 31 დეკემბრამდე სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია განთავსებული საქართველოს მთავრობის კანცელარიის, სამინისტროების და სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდებზე. ხსენებული პარამეტრების გათვალისწინებით 2013 წლის 31 დეკემბრამდე სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ვებ-გვერდებზე განთავსების თვალსაზრისით მაქსიმალური შეფასებები (93,5%) მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და გარემოსა ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. ყველაზე დაბალი შეფასება 39,1% დაიმსახურა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა


IDFI-ის პარამეტრების გათვალისწინებით მიღებული შეფასებები
იუსტიციის სამინისტრო
93,5%
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო
93,5%
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
93,5%
შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
93,5%
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
93,5%
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
93,5%
ენერგეტიკის სამინისტრო
91,3%
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
89,1%
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
87%
მთავრობის კანცელარია
87%
თავდაცვის სამინისტრო
87%
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
87%
ფინანსთა სამინისტრო
87%
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და…
78,3%
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
76,1%
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
76,1%
შინაგან საქმეთა სამინისტრო
67,4%
საგარეო საქმეთა სამინისტრო
65,2%
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო…
65,2%
დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი
39,1%

- **ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა**

IDFI-ის პარამეტრების მიხედვით აღნიშნული პუნქტის მიმართებაში საჯარო დაწესებულებამ მომხმარებლისთვის კარგი თვალსაჩინოებისათვის უნდა უზრუნველყოს დაწესებულების სტრუქტურის გრაფიკული გამოსახვა (სტრუქტურული ხე) და თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების აღწერა. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა ერთადერთი გამონაკლისია, რომელიც დაწესებულებების უმრავლესობამ IDFI-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით სრულყოფილად განათავსეს საკუთარ ვებ–გვერდებზე.

- **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა**;

IDFI - ის პარამატრების გათვალისწინებით აღნიშნული პუნქტის მიხედვით საჯარო დაწესებულებებს საკუთარ ვებ–გვერდზე უნდა განეთავსებინათ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შესული წერილების რეესტრი, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა მოთხოვნის თარიღი, მომთხოვნის ვინაობა, მოთხოვნის მოკლე შინაარსი და მოთხოვნის განხილვის შედეგები. აღნიშნული ინფორმაციის ვებ–გვერდებზე განთავსება მომხმარებელს საშუალებას მისცემს გარკვეული კონტროლი გაუწიოს საჯარო დაწესებულებას მის მიერ გაგზავნილი მოთხოვნის შესრულების შესახებ. ერთერთ იშვიათ გამონაკლისს ხსენებულ დაწესებულებებს შორის, რომელმაც IDFI - ის პარამეტრების გათვალისწინებით განათავსა აღნიშნული ინფორმაცია საკუთარ ვებ–გვერდზე წარმოადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. უმეტეს შემთხვევაში დაწესებულებების მხრიდან წარმოდგენილია, მხოლოდ საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული წერილების და მათგან დაკმაყოფილებულების რაოდენობა.

მე-4 კვარტლის მონაცემებით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით რეგისტრირებულია 2598 განცხადება
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

- **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა**

2012 წლის 10 დეკემბრიდან 2013 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შემოსულია 686 განცხადება (მათ შორის 20 განცხადება სამინისტროს ელ. ფოსტით და 1 განცხადება სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალიდან), პასუხი გაცემულია 684 განცხადებაზე, ხოლო 2 განცხადებაზე მიმდინარეობს საქმისწარმოება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

#	შემოსვლის თარიღი/რეგისტრაციის ნომერი	მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დასახელება და მოკლე შინაარსი	განხილვის შედეგი	გაცემის/გაგზავნის თარიღი, წერილის ნომერი	პასუხისმგებელი პირის ვინაობა
1	#5764/30.10.2012	საარქივო ცნობა სამუშაო სტაჟის შესახებ	დაკმაყოფილდა	#3710/05.11.2012	ეკატერინე ბენდელიანი
2	.11.2012	შპს "ყაზბეგი ჰესის" მიერ სამინისტროში წარმოდგენილი მდ. ბროლისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გზშ-ს ელექტრონული ვერსია	დაკმაყოფილდა - გაეგზავნა პასუხი, მიეთითა ინფორმაციის წყარო	#3792/16.11.2012	ინგა ნიკაგოსიანი
3	#5963/14.11.2012	საარქივო ცნობა სამუშაო სტაჟისა და ხელფასის შესახებ	დაკმაყოფილდა	#3833/21.11.2012	ინგა ნიკაგოსიანი
4	#5975/14.11.2012	საჯარო ინფორმაცია თბილისი-ბათუმის სარკინიგზო ხაზის "ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის" მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშის ასლი; არსებობის შემთხვევაში განახლების გეგმა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების ასლები	დაკმაყოფილდა. გაიგზავნა გზშ-ს ასლი ბეჭდური და ელექტრონული ფორმით.	#3831/21.11.2012	ინგა ნიკაგოსიანი

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

- **ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ**

IDFI - ის პარამეტრების გათვალისწინებით აღნიშნული პუნქტის მიხედვით საჯარო დაწესებულებებს საკუთარ ვებ–გვერდზე უნდა განეთავსებინათ თითოეული გასხვისებული სახელმწიფო ქონების დასახელება და მიეთითებინათ თუ ვისზე გასხვისდა აღნიშნული ქონება და რა პირობებით. ხსენებულ დაწესებულებებს შორის აღნიშნული პუნქტის მიხედვით ინფორმაციის განთავსების განსხვავებული პრაქტიკა არსებობს. ვხდებით შემთხვევებს, როდესაც წარმოდგენილია მხოლოდ გასხვისებული ქონების ჩამონათვალი ან მხოლოდ გასხვისებული ქონების მთლიანი საბაზრო ღირებულება.

რაც შეეხება დაწესებულებებს, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში არანაირი სახის სახელმწიფო ქონება არ ჰქონდა გასხვისებული IDFI მოუწოდებდა მათ, რომ საკუთარ ვებ–გვერდებზე გაეკეთებინათ შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც აღნიშნული შესახებ ამცნობდა მომხმარებელს.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 2013 წლის 12 თვის განმავლობაში უსასყიდლოს, სარგებლობაში/განსაკარგავად გადაცემულია 1039660(ერთი მილიონ ოცდაცხრამეტი ათას ექვსასსამოცი) ლარის ღირებულების ქონება.
ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

2013 წლის განმავლობაში გაცემული მატერიალური ფასეულობები

მიმღების დასახელება	მატერიალური ფასეულობის დასახელება	რ-ბა	ერთ. ფასი	ღ-ბა სულ	პერიოდი
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	მონიტორი	1	200,00	200,00	1 კვარტალი
	მონიტორი	1	348,51	348,51	
	უწყვეტი კვების წყარო	2	150,00	300,00	
	სისტემური ბლოკი	1	772,28	772,28	
	სისტემური ბლოკი	1	906,00	906,00	
ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	პორტატული კომპიუტერი Aser eMashines	8	506,54	4052,32	
ახალქალაქის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	პორტატული კომპიუტერი Aser eMashines	11	506,54	5571,94	
	პორტატული კომპიუტერი Aser eMashines	1	675,35	675,35	
ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	პორტატული კომპიუტერი Aser eMashines	6	675,38	4052,28	
	სულ			16878,68	
მეორე სვირის #1 საჯარო სკოლა	კომპიუტერი	5	368,00	1840,00	
	პრინტერი	1	453,00	453,00	
პროფესიული კოლეჯი "პრესტიჟი"	საბუღალტრო პროგრამა "ორის"-ი	1	297,60	297,60	
დაბა ფასანაურის საჯარო სკოლა	კომპიუტერი	5	368,00	1840,00	

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

- **რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები;**

IDFI - ის პარამეტრების გათვალისწინებით აღნიშნული პუნქტის მიხედვით საჯარო დაწესებულებებს საკუთარ ვებ–გვერდზე უნდა განეთავსებინათ დაწესებულების მიერ თითოეულ განთავსებულ რეკლამის შესახებ შემდეგი ინფორმაცია: რა სახის იყო რეკლამა, სად განთავსდა და რამდენი იქნა დახარჯული.

დაწესებულების უმრავლესობის მხრიდან რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯების შესახებ წარმოდგენილია მხოლოდ საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ჯამური ოდენობა. საქართველოს მთავრობის კანცელარია და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო წარმოადგენენ იშვიათ გამონაკლისებს, რომლებმაც IDFI - ის პარამეტრების გათვალისწინებით წარმოადგინა აღნიშნული ინფორმაცია საკუთარ ვებ–გვერდზე.

04.02.2014

2013 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ რეკლამის განთავსებაზე გაწეულია ხარჯი 105,737.14 ლარის ოდენობით

ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

2013 წელს რეკლამაზე გაწეული ხარჯი
226,575.68

თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

რეკლამის ხარჯი 2013 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით

N	ობიექტის დასახელება	სატენდერო ფასი	სახელშეკრულებო ღირებულება	ხელშეკრულების ვადები			გადახდილია	შემსრულებელი	ხელშეკრულების ნომერი	შენიშვნა
				დაწყება	დამთავრება	CPV	სულ			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	რეკლამის ხარჯი		3 000,00	18.09.2013წ	31.12.2013წ.	79341000	2 000,00	შ.პ.ს. ყოველდღიური გაზეთი „რეზონანსი"	2288/137	
2	რეკლამის ხარჯი		1 900,00	22.07.2013წ.	31.12.2013წ.	92111220	1 900,00	ფ/პ კონსტანტინე კუპრეიშვილი	34010102/13	
3	რეკლამის ხარჯი		2 000,00	22.07.2013წ.	31.12.2013წ.	79341000	2 000,00	შ.პ.ს. დამოუკიდებელი ტელე-რადიო კომპანია „ოდიმი"	34010102/20	

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

საგადახდო მოთხოვნა #07511 *(დამტკიცებული ხაზინაში)*

სახაზინო კოდი	04 01	დასახელება	საქართველოს მთავრობის კანცელარია		
ვალდებულების #	1552	მოთხოვნის საფუძველი	აწგარიშფაქტურა; 3714758; 30/12/2013		0
საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	221005	თანხა ლარებში	68,880.96	თანხა სიტყვით	სამოცდარვა ათას რვაასოთხმოცი ლარი და ოთხმოცდათექვსმეტი თეთრი
განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი				204454198	
დასახელება	საქართველოს მთავრობის კანცელარია				
მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი				205290273	
დასახელება	შპს მედია პორტი				
მიმღების ბანკის კოდი				BAGAGE22	
დასახელება	ქ.თბილისი,სს "საქართველოს ბანკი" (სააწგ. ცენტრი)				
ანგარიშის #	GE89BG0000000878240700			საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი	
გადახდის დანიშნულება	სხვა - ერთჯერადი სარეკლამო კლიპის სატელევიზიო ეთერში განთავსების ხარჯი				

მთავრობის კანცელარიის მიერ განთავსებული ინფორმაცია

- **სარგო, დანამატი, პრემია**

IDFI - ის პარამეტრების გათვალისწინებით საჯარო დაწესებულებებს გაცემული თანამდებობრივი სარგოების, სახელფასო დანამატების და პრემიების შესახებ ინფორმაცია საკუთარ ვებ–გვერდებზე უნდა წარმოედგინათ თანამდებობის პირებზე ცალ–ცალკე და სხვა თანამშრომლებზე ჯამური სახით. ერთადერთი დაწესებულება ზემოთ ხსენებულ დაწესებულებებს შორის, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია IDFI- ის პარამეტრების გათვალისწინებით განათავსა საკუთარ ვებ–გვერდზე წარმოადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. სხვა დაწესებულებების შემთხვევაში გაცემული სარგოების, სახელფასო დანამატების და პრემიების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია როგორც თანამდებობის პირებზე ასევე ჩვეულებრივი თანამშრომლების შემთხვევაში დაჯამებული სახით. ვხდებით ასევე შემთხვევებს, როდესაც ინფორმაცია საერთოდ არ არის ჩაშლილი შრომის ანაზღაურების სახეების მიხედვით (სარგო, დანამატი, პრემია) და მთლიანად დაჯამებული სახითაა წარმოდგენილი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა დანარჩენ თანამშრომლებზე (ჯამურად) 2013 წლის 4-ე კვარტალში	
თანამდებობის პირები (მინისტრი, მინისტრის 1-ლი მოადგილე, მინისტრის მოადგილეები, მინისტრის მრჩეველი, დეპარტამენტის უფროსები, სამსახურის უფროსები, ბიუროს უფროსი)	**სხვა დანარჩენი თანამშრომლები** (გარდა თანამდებობის პირებისა)
402440, 00 ლარი	**1164473,00 ლარი**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

დასახელება	თანამდებობის პირები				სხვა დანარჩენი თანამშრომელი			
	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
თანამდებობრივი სარგო	219 791,0	222 621,5	227 052,4	224 522,5	323 160,5	335 960,2	361 323,9	358 713,1
დანამატი	5 962,5	13 005,0	13 005,0	13 005,0	0,0	0,0	0,0	2 285,7
პრემია	195 895,4	215 110,0	306 165,0	308 590,8	100 506,4	152 680,0	253 215,0	277 015,0
სულ:	**421 648,9**	**450 736,5**	**546 222,4**	**546 118,3**	**423 666,9**	**488 640,2**	**614 538,9**	**638 013,8**

Page 1

იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს აპარატის თანამშრომლებზე 2013 წლის 01 იანვრიდან 2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით დარიცხული პრემიის ოდენობის შესახებ

№	თანამდებობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	სულ:
1	**თანამდებობის პირები**	11 070,00	7 200,00	21 335,00	18 000,00	**57 605,00**
	მინისტრი	0,00	0,00	4 585,00	0,00	4 585,00
	მინისტრის პირველი მოადგილე	725,00	800,00	2 750,00	2 700,00	6 975,00
	მინისტრის მოადგილე	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
	მინისტრის მოადგილე	2 845,00	700,00	1 500,00	1 800,00	6 845,00

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

- **სამივლინებო ხარჯები**

IDFI - ის პარამეტრების გათვალისწინებით საჯარო დაწესებულებებს სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია საკუთარ ვებ–გვერდებზე უნდა განეთავსებინათ თანამდებობის პირებზე ცალ-ცალკე ჩაშლილად (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით) მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით, ხოლო სხვა თანამშრომლების შემთხვევაში მხოლოდ გაწეული ხარჯები დაჯამებული სახით. ერთადერთ დაწესებულებას, რომელმაც სამივლინებო ხარჯები კონკრეტული თანამდებობის პირის მიხედვით წარმოადგინა IDFI-ის პარამეტრების გათვალისწინებით წარმოადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. სამინისტროს ვებ–გვერდზე უზრუნველყოფილია საგარეო საქმეთა მინისტრის სამივლინებო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციის განთავსება. სხვა დაწესებულებების შემთხვევაში ინფორმაცია წარმოდგენილია მხოლოდ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გაწეული სამივლინებო ხარჯები, როგორც თანამდებობის პირებზე ასევე ჩვეულებრივ თანამშრომლებზე დაჯამებული სახით.

2013 წლის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების მიერ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯები

#		მივლინება ქვეყნის შიგნით	მივლინება ქვეყნის გარეთ
1	თანამდებობის პირები (მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები, დეპარტამენტის უფროსის მოადგილეები)	31434.05 ლარი	140016.72 ლარი
2	სხვა თანამშრომლები	121483 ლარი	21372.99 ლარი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს განთავსებული ინფორმაცია

ინფორმაცია საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების შესახებ 11/2012-11/2013 წ

№ რიგი	დელეგაციის ხელმძღვანელი პირის სახელი გვარი	მივლინების, ადგილი(ქვეყანა)	ვიზიტების თარიღი	დელეგაციის წევრთა რაოდენობა	გაწეული ხარჯები				ტრანსპორტირების საშუალება და კლასი
					დღიური	სასტუმრო	მგზავრობა	სულ	
1	მაია ფაწაკიაძე	გერმანია	15-16.11.12წ.	4	2315,52		8929,85	11245,37	ა/ბ ეკ.კლასი
		აშშ	28-30.11.12წ.	5	1153,50	6529,28	68399,49	76082,27	ა/ბ ეკ.კლასი
		მექსიკა	1-2.12.12წ.	5	1193,08	2498,320		3691,40	
		ბელგია	4-5.12.12წ.	8	2089,33	8865,560		10954,89	
		ირლადია	6-7.12.13წ.	9	4100,18	5706,840		9807,02	
									ა/ბ ეკ.კლასი
		თურქეთი	14-15.12.12წ.	5	1147,06		3762,99	4910,05	ა/ბ ეკ.კლასი
		ბელგია	18-20.12.12წ.	4	1587,75	2325,050	11066,68	14979,48	ა/ბ ეკ.კლასი
		ლიტვა	10.01.13წ.	5	682,02	1132,300	27175,23	28989,55	ა/ბ ეკ.კლასი
		ლატვია	13-14.01.13	5	787,84	361,440		1149,28	

საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფრომაცია

- **სერვისებისა და მოსაკრებლების შესახებ ინფორმაცია**

როგორც წინამდებარე კვლევის დასაწყისში აღვნიშნეთ ვინაიდან ინსტიტუტი არ ფლობდა კონკრეტულ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის კანცელარია, სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრის აპარატები სთავაზობენ თუ არა მომხმარებელს რაიმე სახის სერვისებს და შესაბამისად არის თუ არა მათ მიერ დადგენილი რაიმე სახის ტარიფები, მოსაკრებლები და საფასურები ინსტიტუტმა სავალდებულო ინფორმაციის განთავსების პროცენტული მაჩვენებლების შედგენისას, არ შეაფასა აღნიშნული ინფორმაციის ვებ–გვერდებზე განთავსება. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტის მხრიდან არ ხდებოდა აღნიშნული მონაცემების შეფასება დაწესებულებებს მიმართა რეკომენდაციით, რომ იმ შემთხვევაში თუ არანაირ სერვისებს არ სთავაზობდნენ მომხმარებლებს გაეკეთებინათ საკუთარ ვებ–გვერდებზე შესაბამისი ჩანაწერი ან/და უკეთეს შემთხვევაში შესაბამის განყოფილებაში განეთავსებინათ

დაწესებულების ქვემდებარეობაში არსებული სსიპ–ებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ბმულები.

ამასთან ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ შესაბამის განყოფილებაში შესაძლებელია განთავსდეს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლების შესახებ ცნობები.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დაწესებულებების გარკვეულმა ნაწილმა გაითვალისწინა IDFI– ის რეკომენდაციები აღნიშნული პუნქტების შესახებ ინფორმაციის განთავსების მიმართებაში.



განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია



იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

➢ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

საქართველოს მთავრობის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მიხედვით დაწესებულება ვალდებულია პროაქტიულად გამოქვეყნებულ ინფორმაციას მიუთითოს ვებ–გვერდზე მისი განთავსების თარიღი. IDFI შეეცადა გამოერკვია, რამდენად ხდება საქართველოს მთავრობის კანცელარიის, სამინისტროების და სახელმწიფო მინისტრის აპარატების მიერ დადგენილებით განსაზღვრული აღნიშნული ვალდებულების შესრულება. როგორც ირკვევა ხსენებული დაწესებულებების მხოლოდ 41% – ის შემთხვევაში იქნა მითითებული საკუთარ ვებ–გვერდზე ინფორმაციის განთავსების თარიღები.



მთავრობის ხსენებულ დადგენილებაში არსებული ჩანაწერის მიხედვით დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გვერდზე ვალდებულია განათავსოს მხოლოდ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის მე–2 ნაწილში თავმოყრილი პუნქტები, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან. რაც შეეხება სხვა სახის ინფორმაციას დადგენილება დაწესებულებას საშუალებას აძლევს საკუთარი შეხედულებისამებრ გადაანაწილოს ვებ–გვერდზე, რაც მომხმარებელს ურთულებს კონკრეტული საკითხისადმი ინფორმაციის მოძიებას.

IDFI შეეცადა გამოერკვია ხსენებულმა დაწესებულებებმა როგორ გადაანაწილეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია საკუთარ ვებ–გვერდებზე. როგორც გაირკვა დაწესებულებების 53%–მა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია სრულად განათავსა საჯარო ინფორმაციის გვერდზე.





იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე ნუსხით განსაზღვრული ინფორმაცია გადანაწილებულია სხვადასხვა განყოფილებებში

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ინსტიტუტის მიერ შესწავლილი იქნა აგრეთვე რა ფორმატში ხდება საჯარო დაწესებულებების მიერ ფინანსური ინფორმაციის ვებ–გვერდებზე განთავსება. ხსენებული დაწესებულებების 65%–ის შემთხვევაში ფინანსური დოკუმენტაცია წარმოდგენილია მხოლოდ PDF ფორმატში, 23%–ის შემთხვევაში EXCEL–ის ფორმატში, ხოლო 12% იყენებს როგორც PDF ასევე EXCEL–ის ფორმატს. EXCEL-ის ფორმატში ფინანსური მონაცემების განთავსება მომხმარებელს უმარტივებს კონკრეტული მონაცემების დამუშავებას.





საჯარო ინფორმაცია » ბიუჯეტი

პროაქტიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის წუსხა ; პუნქტი -5

Like 0 Share 0

თარიღი: 2013 ოქტომბერი 24

მიმაგრებული დოკუმენტები :

5.1-ადმინისტრაციული ორგანოს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტი
5.2.ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია
5.2.ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ წლის დასაწყისიდან 30/09/2013 პერიოდში
5.2.ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ წლის დასაწყისიდან 30/09/2013 პერიოდში
5.2.ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ წლის დასაწყისიდან 30/09/2013 პერიოდში
5.2.ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ წლის დასაწყისიდან 30/09/2013 პერიოდში
5.2.ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ წლის დასაწყისიდან 30/09/2013 პერიოდში
5.2.ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ წლის დასაწყისიდან 30/09/2013 პერიოდში
5.2.ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ წლის დასაწყისიდან 30/09/2013 პერიოდში
5.2.ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ წლის დასაწყისიდან 30/09/2013 პერიოდში
5.2.ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ წლის დასაწყისიდან 30/09/2013 პერიოდში
5.2.ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ წლის დასაწყისიდან 30/09/2013 პერიოდში
5.2.ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ წლის დასაწყისიდან 30/09/2013 პერიოდში
5.2.ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ წლის დასაწყისიდან 30/09/2013 პერიოდში

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ფინანსური ინფორმაცია განთავსებულია PDF ფორმატში

ვებ–გვერდზე განთავსებული მონაცემების მეტი თვალსაჩინოებისათვის სასურველია აგრეთვე გამოყენებული იქნას ვიზუალიზაციის გარკვეული საშუალებები (მონაცემთა გრაფიკული, დიაგრამული და სხვა გამოსახვა). როგორც გამოჩნდა კვლევის ობიექტების მიერ ნაკლები ყურადღება ეთმობა მონაცემთა ვიზუალიზაციას. მხოლოდ 24 პროცენტის შემთხვევაში ვხვდებით სავალდებულო პროაქტიულად გამოქვეყნებული მონაცემების ვიზუალიზაციის შემთხვევებს.





❖ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა

➢ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის საშუალებები

საქართველოს მთავრობის 26 აგვისტოს №219 დადგენილების მიხედვით 2013 წლის 1 სექტემბრიდან დადგინდა საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის წესი. ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ელექტრონული განცხადებების რეგისტრაცია და ავტომატური დადასტურების სისტემის შექმნა.

საჯარო დაწესებულებებთან დღეის მდგომარეობით ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თვალსაზრისით წარმოადგენს სამოქალაქო პორტალი MY.GOV.GE დაწესებულების ვებ–გვერდზე შექმნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული საშუალება და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ან/და დაწესებულების ელექტრონული ფოსტა.

my.gov.ge

მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE წარმოადგენს ონლაინ რესურსს, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ელექტრონული რესურსები. პორტალით სარგებლობისათვის არსებობს ორი გზა:

1) ელექტრონული ID ბარათი და ბარათის წამკითხველი მოწყობილობა
2) ვიზიტი იუსტიციის სახლში სარეგისტრაციო სახელისა და უნიკალური კოდის მისაღებად

პორტალზე განთავსებულ სხვადასხვა სერვისებს შორის წარმოდგენილია საჯარო ორგანიზაციებთან ელ. კომუნიკაციის განყოფილება, საიდანაც მოქალაქეს შეუძლია მისთვის სასურველ საჯარო დაწესებულებას, რომელიც გაერთიანებულია ელექტრონულ პორტალზე, მიმართოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით.

IDFI-ის რეკომენდაციით პორტალზე არსებული მიმართვის ფორმას დაემატა ველი გამგზავნი ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას აძლევს არამარტო მოქალაქეებს არამედ ორგანიზაციებსაც ისარგებლონ აღნიშნული სერვისით.



აღნიშნული სერვისით დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის გაგზავნის შემდგომ მომხმარებელს საკუთარ პორტალზე მისდის დასტური დაწესებულებაში მოთხოვნის შესვლის შესახებ, წერილის რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.



ელექტრონული საშუალება

მთავრობის ხსენებული დადგენილების ძალაში შესვლის შემდგომ საჯარო დაწესებულებების ნაწილმა საკუთარ ვებ–გვერდზე შექმნა სპეციალური საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საშუალებები. აღნიშნულ საშუალებებს გააჩნია სპეციალური ველები, სადაც ხდება მომხმარებლის რეკვიზიტებისა და სასურველი მოთხოვნის შევსება. სხვადასხვა დაწესებულებები ინფორმაციის დაცულობის თვალსაზრისით მომხმარებელს სავალდებულო ველების შევსების სახით განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს.

ელექტრონული საშუალებით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მოქალაქემ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე დაწესებულებიდან უნდა მიიღოს დასტური დაწესებულებაში მოთხოვნის შესვლის შესახებ და წერილის რეგისტრაციის ნომერი. რეგისტრაციიდან მეორე დღეს დაიწყება ვადების ათვლა.

ელექტრონული ფოსტა

საჯარო დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის საშუალებას შესაძლებელია წარმოადგენდეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ან/და უშუალოდ დაწესებულების ელექტრონული ფოსტა. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მოქალაქის მიერ უნდა გადაიგზავნოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილის სკანირებული ვერსია შესაბამის მისამართზე.

ელექტრონული საშუალებით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მსგავსად ელექრონულ ფოსტაზე მოთხოვნის შემთხვევაშიც მოქალაქემ დაწესებულებიდან უნდა მიიღოს

დასტური დაწესებულებაში მოთხოვნის შესვლის შესახებ და წერილის რეგისტრაციის ნომერი. რეგისტრაციიდან მეორე დღეს დაიწყება ვადების ათვლა.



საჯარო ინფორმაცია

ყველას აქვს უფლება, გაეცნოს საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ის არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია როგორც **წერილობით, ისე ელექტრონული ფორმით.**

საკონტაქტო ინფორმაცია:

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი: საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ინგა ნიკაგოსიანი

მისამართი: 0114, ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. #6

ტელეფონი: 32 2727234

ელ. ფოსტა: foi@moe.gov.ge

➢ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის პრაქტიკა

საქართველოს დაწესებულებებს შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის განსხვავებული პრაქტიკა არსებობს. წინამდებარე კვლევის ფარგლებში IDFI შეეცადა გამოერკვა საქართველოს მთავრობის კანცელარია და სამინისტროები საკუთარ ვებ–გვერდებზე რომელი კონკრეტული საშუალების გამოყენებას სთავაზობს მოქალაქეებს მათი დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოსათხოვნად. როგორც ირკვევა ხსენებული დაწესებულებებიდან 29% მოქალაქეებს სთავაზობს MY.GOV.GE – ის მომსახურებას, ასევე 29% ვებ–გვერდზე შექმნილ სპეციალურ ელექტრონულ საშუალებას, 6% – ორივეს ერთდროულად, 18% საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ელექტრონულ ფოსტას, ხოლო ასევე 18 პროცენტის შემთხვევაში საერთოდ არ არსებობს მათ ვებ–გვერდზე მითითება, რომ რომელიმე კონკრეტული ელექტრონული ფოსტის მისამართი არის საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის საშუალება.



ზემოთ ხსენებული დაწესებულებებიდან მითითება ვებ-გვერდზე, რომ მოქალაქეს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შეუძლია მოქალაქის პორტალის MY.GOV.GE – ის საშუალებით წარმოდგენილია შემდეგი სამინისტროების ვებ–გვერდებზე:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ფინანსთა სამინისტრო
- იუსტიციის სამინისტრო
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საკუთარ ვებ–გვერდებზე შექმნილი სპეციალური ელექტრონული საშუალებებით მოქალაქეებს საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის შესაძლებლობა ეძლევათ შემდეგი დაწესებულებების ვებ–გვერდებზე:

- მთავრობის კანცელარია
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ენერგეტიკის სამინისტრო
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ზემოთ ჩამოთვლილი დაწესებულებების ვებ–გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული საშუალებები განსხვავებული ხასიათისაა. მათ შორის გამორჩეულია სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შექმნილი ელექტრონული საშუალებები, რომლებიც საშუალებას იძლევა დაწესებულებას საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნით მიმართოს როგორც მოქალაქის ასევე ორგანიზაციის სახელით. ამასთან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მომხმარებელს საშუალებას აძლევს აირჩიოს ინფორმაციის მიღების მისთვის სასურველი ფორმა – ელექტრონული, მატერიალური თუ მონაცემების ადგილზე გაცნობა.



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული საშუალება



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული საშუალება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არის ერთადერთი ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებებს შორის, რომელიც საკუთარ ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის ელექტრონული სახით მოთხოვნას მოქალაქეებს სთავაზობს, როგორც ელექტრონული საშუალების (სკანირებული დოკუმენტის სახით) ასევე my.gov.ge - ის გამოყენებით.

მითითება ვებ-გვერდზე, რომ საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნა შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ელექტრონული ფოსტიდან წარმოდგენილია შემდეგი სამინისტროების მიერ:

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო



საჯარო ინფორმაცია

ყველას აქვს უფლება, გაეცნოს საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ის არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია როგორც **წერილობით, ისე ელექტრონული ფორმით.**

საკონტაქტო ინფორმაცია:

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი: საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ინგა ნიკაგოსიანი

მისამართი: 0114, ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. #6

ტელეფონი: 32 2727234

ელ. ფოსტა: foi@moe.gov.ge

სხვა დაწესებულებებს , რომელთა ვებ-გვერდებიც შესწავლილი იქნა ინსტიტუტის მიერ, ვებ-გვერდზე არ გააჩნიათ მითითება რომელი კონკრეტული ელექტრონული ფოსტა წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის საშუალებას. ამგვარი დაწესებულებები არიან:

- საგარეო საქმეთა სამინისტრო
- თავდაცვის სამინისტრო
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე წარმოდგენილია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ელ-ფოსტა, თუმცა არ არის მითითება, რომ აღნიშნული წარმოადგენს ინფორმაციის მოთხოვნის საშუალებას

IDFI- იმ სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებს რეალურად არსებული პრაქტიკის შესასწავლად მიმართა ელექტრონულად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილები სხვადასხვა გზით გაეგზავნა შემდეგ დაწესებულებებს:

დაწესებულება, რომელსაც გაეგზავნა ელექტრონულად მოთხოვნა	ელექტრონული მოთხოვნის გზა
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	ელ. სისტემის საშუალება
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	ელ. ფოსტა
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	ელ. სისტემის საშუალება
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	my.gov.ge
სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო	my.gov.ge

- **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო-** - დასტური არ არის მიღებული მოთხოვნის ჩაბარებაზე, თუმცა ინფორმაცია მოწოდებულია 10 დღიანი ვადის დაცვით;

- **კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო** - დასტური არ არის მიღებული მოთხოვნის ჩაბარებაზე, თუმცა ინფორმაცია მოწოდებულია 10 დღიანი ვადის დაცვით;

- **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია** - დასტური არ არის მიღებული მოთხოვნის ჩაბარებაზე და არ არის უზრუნველყოფილი ინფორმაციის მოწოდება;

- **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო** - მოქალაქის პორტალზე მიღებულია დასტური სამინისტროში მოთხოვნის რეგისტრაციის შესახებ. სამინისტროდან გვაცნობეს, რომ მოთხოვნა დამუშავების პროცესშია;

- **სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო** - მოქალაქის პორტალზე მიღებულია დასტური სამინისტროში მოთხოვნის რეგისტრაციის შესახებ და ინფორმაცია მოწოდებულია 10 დღიანი ვადის დაცვით.

❖ დასკვნა/რეკომენდაცია

საქართველოს მთავრობის 26 აგვისტოს №219 დადგენილებით საქართველოში დამკვიდრდა სახელმწიფო ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სრულიად ახალი, პროაქტიული სტანდარტი, რომელიც ამავე დროს აღჭურვავს საზოგადოებას ხელისუფლების კონტროლის დამატებითი მექანიზმებით.

როგორც წინამდებარე კვლევაში გამოჩნდა საქართველოს მთავრობის კანცელარიამ და სამინისტროებმა აღნიშნული დადგენილებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მაღალი მაჩვენებლები აჩვენეს, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამწუხაროდ დადგენილების ნუსხით განსაზღვრული მთელი რიგი პუნქტები დაწესებულებებს არ ავალდებულებს დეტალური ინფორმაციის გასაჯაროებას.

IDFI-ის მრავალმხრივი მოწოდებების მიუხედავად დაწესებულებები უმეტესწილად ვებ-გვერდებზე ათავსებენ მხოლოდ იმ მინიმალურ კონკრეტულ ინფორმაციას, რომელიც აკმაყოფილებს მთავრობის დადგენილების მოთხოვნებს.

IDFI-ი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული ორგანოების ფინანსური გამჭვირვალობისა და სხვა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

IDFI გამოთქვამს იმედს, რომ დაწესებულებების მხრიდან გათვალისწინებული იქნება მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შესახებ არსებული რეკომენდაციები, რომელიც ეხება შემდეგ პუნქტებს:

- **ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა**

IDFI-ის რეკომენდაცია (სტრუქტურული ხე და თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების აღწერა)

- **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა**

IDFI-ის რეკომენდაცია (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული წერილების რეესტრი მოთხოვნის თარიღის, ადრესატის, შინაარსის და განხილვის შედეგის მითითებით)

- **ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ**

IDFI-ის რეკომენდაცია (გასხვისებული ქონების ჩამონათვალი, ვისზე გასხვისდა და რა პირობებით)

- **რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები**

IDFI-ის რეკომენდაცია (სად და რა სახის რეკლამა განთავსდა)

- **ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების შესახებ**

IDFI-ის რეკომენდაცია (თანამდებობის პირებზე ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით)

- **ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ**

IDFI-ის რეკომენდაცია (თანამდებობის პირებზე ცალ-ცალკე ჩაშლილალად (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით) მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით)

- **ბალანსზე რიცხული ავტომობილების ჩამონათვალი მოდელის მითითებით**

IDFI-ის რეკომენდაცია (შესყიდვის ფასი, შესყიდვის თარიღი, გამოშვების წელი, ნარჩენი ღირებულება)

- **საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯები**

IDFI-ის რეკომენდაცია (თანამდებობის პირების და სხვა თანამშრომლების ცალ-ცალკე)

- **ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები**

IDFI-ის რეკომენდაცია (თანამდებობის პირების და სხვა თანამშრომლების ცალ-ცალკე)

- **ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი**

IDFI-ის რეკომენდაცია (საბალანსო ღირებულების მითითებით)

- **სატელეფონო საუბრებზე გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯები**

IDFI-ის რეკომენდაცია (თანამდებობის პირების და სხვა თანამშრომლების ცალ-ცალკე)